



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის №15, 0102, თბილისი, საქართველო; ტელ: (+995 32) 295 23 53; ფაქსი: (+995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 295 23 53; Fax: (+995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/87-17

31.01 2017 წ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა მიმართულებებითა და ოდენობით შემცირდა სახელმწიფო მინისტრის აპარატში ფინანსური ხარჯები 2017 წლის 1 იანვრიდან? (ადმინისტრაციული ხარჯები, თანამშრომელთა ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატები) და სხვა);
2. რის საფუძველზე წარიმართა რეორგანიზაციის პროცესი? ჩატარდა თუ არა შიდა საკადრო აუდიტი ან შეიქმნა თუ არა სამუშაო ჯგუფი არსებული საშტატო ნუსხის შეფასების მიზნით? გთხოვთ, მოგვაწოდოთ, შიდა საკადრო აუდიტის/სამუშაო ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები, არსებობის შემთხვევაში;
3. რა მიმართულებებით და სფეროებში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომელმაც გამოიწვია შტატების შემცირება? გთხოვთ, მოგვაწოდოთ, სახელმწიფო მინისტრის ბრძანებები საშტატო სტრუქტურის რეორგანიზაციის თაობაზე;

4. რამდენი საჯარო მოხელე გათავისუფლდა სახელმწიფო მინისტრის აპარატში რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით?
5. რა გარემოებები და კრიტერიუმები იყო გათვალისწინებული საჯარო მოხელის შერჩევისას რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას? (მაგ: ატესტაციის ან შეფასების შედეგები, დისციპლინური პასუხისმგებლობის ქონა და ა.შ.)
6. რამდენი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გათავისუფლდა რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით?
7. რამდენმა საჯარო მოხელემ დატოვა სახელმწიფო მინისტრის აპარატში პირადი განცხადების საფუძველზე 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით?
8. რა ოდენობის თანხა დაიზოგა სახელმწიფო მინისტრის აპარატში 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად?
9. რა ოდენობის თანხა დაიხარჯა სახელმწიფო მინისტრის აპარატში რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კომპენსაციის სახით 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით?

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

ა. ნაცვლიშვილი

თავმჯდომარე